პარასკევი, 14 იანვარი 1905 წ.

წელიწადი 1877—1905 ოცდამეცხრე

პარასკევი, 14 იანვარი 1905 წ.

გაზეთის ფასი:

12	თვით . .	10 მ.	— კ.
11	„ . .	9 „	50 „
10	„ . .	8 „	75 „
9	„ . .	8 „	— „
8	„ . .	7 „	25 „
7	„ . .	6 „	50 „
6	„ . .	6 „	— „
5	„ . .	5 „	50 „
4	„ . .	4 „	75 „
3	„ . .	3 „	50 „
2	„ . .	2 „	75 „
1	„ . .	1 „	50 „

ივერია

№ 10 ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 10

წლიური ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადები:

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს— 3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1-ს—2 მ. და ენკენისთვ ს 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

დღესასწაულისა გამო შემდეგი ნომერი გამოვა კვირას, 16 იანვარს.

„ივერიის გამომცემელ ამხანაგობისაგან“.

„ივერიის“ გამომცემელი ამხანაგობა ამით აცხადებს, რომ კვირას, 1905 წ. 23 იანვარს, დილის 11 საათზედ, ქ. ტფილისში დანიშნულია ამხანაგობის საზოგადო კრება, ზუბალაშვილების სახლებში, გოლოვინის პროსპექტზედ, არტისტიულ საზოგადოების პირდაპირ.

კრებამ უნდა დაამტკიცოს ამხანაგობის გამგეობის დადგენილება გაზ. „ივერიის“ გადაცემის შესახებ.

ნინო იაკინთეს ასული სიმონოვიჩისა შვილებითურთ აუწყებს ნათესავთა, მეგობართა და ნაცნობთ, რომ მისის გარდაცვალებულის მეუღლის

სვირიდონ გიორგის ძის სიმონოვიჩის

გამოსვენება იქნება 15 იანვარს, დილის 10 საათზედ, კუკიის ალექსანდრე ნეველის ეკკლესიაში, რომლის გალავანშიაც დაჰკრძალავენ იმავე დღეს.

ახალი განცხადება

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ფასი 10 მანეთი ერთის წლით.

„ივერია“

ცალკე ნომერი 3 კაპეიკი

წელიწადი ოცდა-მეცხრე

გამოვა ყოველ დღე, ორშაბათობითაც

განახლებულის რედაქციით და ახალ თანამშრომელთა მონაწილეობით

გაზეთის ფორმატი გადიდებული იქნება

ამასთან წლიური ხელის მომწერლები მიიღებენ წლის განმავლობაში

პრემიად 12 წიგნს

შემდეგის საერთო სათაურით: „ივერიის ბიბლიოთეკა“. ამ წიგნებში მოთავსებული იქნება: ბელლეტრისტიული, პუბლიცისტიური, ეკონომიური და ისტორიული წერილები, უმთავრესად საქართველოს ცხოვრების შესახებ, აგრეთვე ოჯახში გამოსადეგი ცნობები დარიგებანი და სხვანი.

როგორც თვით გაზეთში, ისე საპრემიო წიგნებშიაც იქნება ხოლმე

სურათები და სხვა-და-სხვა **ილიუსტრაციები.**

გაზეთის წლიური ფასი რჩება იგივე, რომლის გადახდაც შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც: წლის დამდეგს 4 მან., 1 მაისს 3 მან. და 1 აგვისტოს 3 მან.; ვინც ნახევარ წლით ან თვიურად გამოიწერს, უნდა შემოიტანოს თვეში თითო მანეთი.

სახალხო სკოლების მასწავლებლებს, თვით სკოლებსა და სახალხო სამკითხველოებს გაზეთი პრემიებითურთ დაეთმობათ 7 მან. ან ნახევარის წლით 4 მან., ამ შეღავათიან ხელის მომწერთაც შეუძლიანთ ნაწილ-ნაწილად გადაიხადონ ხვედრი ფული: ყოველთვე თითო მანეთი, ვიდრე სრული შემოსატანი 10 მან. შესრულდებოდეს.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, редакція „Иверія“

ტფილისის სახაზინო თეატრი.

ანტრეპრიზა საიმპ. თეატ. არტ. ლ. დ. დონსკოისა.

პარასკევს, 14 იანვარს, წარმოდგენილი იქნება: 1) „მანდარინის შვილი“, ოპ. 1 მოქმ. ც. კიუისა, 2) „სელსკაია ჩესტ“—1 მოქმ., მასკანისა, 3) „მოცარტი და სალიერი“—2 მოქმ., რიმსკი-კორსაკოვისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ვიკშემსკაია, დონსკაია-ვიხენვალდისა, ბუნაკოვისა, ხარიტონოვისა; ბ-ნნი: ბოგდანოვიჩი, სიკაჩინსკი, კომაროვი, პოლუიანოვი, გალეცკი, სპერანსკი და სხვა. ბალეტს განაგებს ჯიოვასსი. პრიმა-ბალერინა ლენჩევსკაია.

კაპელმეისტერი ანტ. ეიხენვალლდი. უფროსი რეჟისორი ს. გეცევიჩი. დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

შაბათს, 15 იანვარს—პოლუიანოვის საბენეფისოდ „ევგენი ონეგინი“. კვირას, 16 იანვარს—უკანასკნელად „ბოკაჩჩიო“, კომიკ. ოპერა, მუს. ზუპპესი.

ყოველ-კვირეული ჟურნალი

⁂ მოგზაური ⁂

(წელიწადი მეხუთე—პირველი)

გამოვა 1905 წელს 16 იანვარიდან ვრცელის პროგრამით

ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ: ფ. მახარაძე, ივ. გომართელი, ნ. ელიავა, ი. ევდოშვილი, ი. კვიცარიძე, ნ. კალანდაძე, ლალიონი, გ. მარმალაძე, ყვირილელი, კ. ჯაფარიძე, ა. წულუკიძე, გ. წულუკიძე და სხვები.

ჟურნალის ფასი გაგზავნით რუსეთის ქალაქებში:

ერთის წლით—5 მან., ნახევარის წლით—3 მან., ცალკე ნომერი—სამი შაური. წლიურის ფასის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ხელის მოწერა მიიღება ტფილისში: „მოგზაურის“ რედაქციაში (რეუტოვის ქუჩა, № 21) და წერა-კითხვის საზ. მაღაზიაში შიო ქუჩუკაშვილთან, ქუთაისში—ის. კვიცარიძესთან, ჭიათურაში—ირ. დეკანოზიშვილთან, სამტრედიაში—ყარამან ნანეიშვილთან, ხონში—ექიმ კიკალიშვილთან. რედაქცია იმყოფება რეუტოვის ქუჩაზე სახლი 21. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція «МОГЗАУРИ».

რედაქტორ-გამომცემელი ი. პ. როსტომაშვილი.

ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზისა გამო

გაზეთი „ივერია“

განახლებულის რედაქციით 14 იანვარს ვერ გამოდის. გაზეთი კიდევ რამდენისამე დღის განმავლობაში ძველის რედაქციითა და წინანდელის ზომისა უნდა გამოვიდეს.

ტფილისის მდაბიო მოქალაქეთა გამგეობისაგან

ბ-ნ ტფილისის გუბერნატორის წინადადებით, ტფილისის მდაბიო მოქალაქეთა გამგეობა ამით აცხადებს, რომ **ტფილისის მდაბიო მოქალაქეთა საზოგადოების დეპუტატთა არჩევნები**

სამის წლით 1905—1907 წლამდე მოჰხდება მდაბიო მოქალაქეთა სტაროსტის თანამდებობის აღმასრულებელის მიერ მდაბიო მოქალაქეთა გამგეობის სადგომში თითოეულ სპოლიციო უბანში, საღამოს 7 საათზედ. არჩევნები იქნება.

22	იანვარს	I	უბანში— 7 დეპუტ.
24		II	„ — 4 „
25		III	„ — 5 „
26		IV	„ — 5 „
27		V	„ —18 „
28		VI	„ — 8 „
29		VII	„ —18 „
31		VIII	„ —10 „
1	თებერვალს	IX	„ —10 „
2		X	„ —15 „

მდაბიო მოქალაქეთა სტაროსტის თანამდებობის აღმასრულებელი მოიწვევს არჩევნებზე მდაბიო მოქალაქეთა წოდებით იმ კაცთ, რომელნიც გამგეობის სიებში არიან ჩაწერილნი და რომელთაც ნება აქვთ კანონით მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში, მობრძანდნენ და მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში იმ უბნის მიხედვით, სად ვინცა სცხოვრობს. ამასთანავე სტაროსტა სთხოვს ყველას ადრევე დაიმზადონ და თან იქონიონ ბილეთები არჩევნების დარბაზში შესასვლელად. უამისოდ დარბაზში შესვლა არ შეიძლება. ბილეთების მიღება შეიძლება ყოველდღე გამგეობაში დილის 9 საათიდან 2-მდე და საღამოს 8 საათიდან 10-მდე.

არჩეულს დეპუტატებს, როცა დამტკიცებულ იქნებიან, ცალკე მიიწვევენ გამგეობის თანამდებობის კაცთა ასარჩევად.

(1—6—1)

1905 წლ. **იანვრის 16-ს, კვირას,** ტფილისის სამეურნეო ბანკის დარბაზში, დილის ათს საათზედ, დანიშნულია **ტფილისის ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების პირველ საგანგებო კრების გაგრძელება.**

მოხდება გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევანი.

(2—1)

ქართველნი მკურნალნი.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევს 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15

დიასამიძე ალექსანდრე—დოქ., მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ მესხიშვილის სახლი, № 18. იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-დე.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

ვ. ს. მუსხელაშვილი—კიროჩნის და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 ს., გარდა სამშაბათისა.

ვაჩაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი მილოვისა, № 5.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

ომის ამბები

რუსეთისა და იაპონიის ფლოტი. წყნარ ოკეანის მეორე ესკადრა გზაზე დგას, მესამე ესკადრასაც ამზადებენ შორეულ აღმოსავლეთს გასაგზავნად. ამბობენ, მესამე ესკადრის პირველი რაზმი იქნება ამ იანვარში გაუდგეს გზასაო. პირველად ბ-ნმა პრიბოიმ (კაპიტანმა კლადომ) მოითხოვა მესამე ესკადრის გაგზავნა. ბ-ნმა პრიბოიმ „ნოვოე ვრემია“-ში საინტერესო წერილები დაბეჭდა რუსის ფლოტზე და გაბედულად ამტკიცებდა: ოცნებობას თავი უნდა დავანებოთო, იაპონიის ფლოტი თითქმის ერთი-ორად ძლიერია წყნარ ოკეანის მეორე ესკადრაზეო; მეორე ესკადრას კრეისერები მეტად ცოტა ჰყავს, იაპონიის ფლოტს-კი ბევრი კრეისერი ჰყავსო. რუსეთს მხოლოდ ერთი ფარსაგი პორტი აქვს ერთის დოკით ვლადივოსტოკში, იაპონელებს რამდენიმე პირველ ხარისხოვანი მშვენივრად მოწყობილი პორტი აქვთ მრავალის დოკით; რუსის გემები საჩქაროდაა გამართული და სულ არაა გამოცდილი, იაპონიის ფლოტმა კი ყოველნაირი განსაცდელი გამოიარა ხანგრძლივ ბრძოლის დროს, ამიტომ რუსეთმა მესამე ესკადრაც უნდა მიაშველოს მეორე ესკადრას, თორემ უამისოდ იაპონიის ძლიერი ფლოტი ადვილად დაამარცხებს რუსის ფლოტსაო. წელს 2 იანვარს ბ. პრიბოიმ „ნოვოე ვრემია“-ში ხელ-ახლად დაიწყო წერილების ბეჭდვა ფლოტზე და, სხვათა შორის, დასწერა: ადმ. როჟესტვენსკის ესკადრამ გზა უნდა განაგრძოს, დაბრუნება არ შეიძლებაო. ამ წერილმა ბევრნი გააკვირვა და რუსული პრესა აალაპარაკა. ბ. ნოვიკოვმა „ნაში დნი“-ში მოკლე წერილი უძღვნა ბ. პრიბოის. ბ. ნოვიკოვი სწერს: „ნოვოე ვრემია“-ში 2 იანვარს სწორედ საკვირველი წერილი დაბეჭდა ბ. პირბოიმ. ავტორი ბეჯითად ამტკიცებს, 1 ოქტომბერს, როცა ადმ. როჟესტვენსკის ესკადრა გზას გაუდგა, არავითარი იმედი არა ჰქონდა არც პორტ-არტურის ესკადრის დახმარებისა, არც იმისი იმედი ჰქონდა, რომ პორტ-არტურში ბინა ეშოვაო. მერე ბ. კლადო იმასვე იმეორებს, რასაც წინად ამბობდა: მეორე ესკადრა გაცილებით სუსტია იაპონიის ფლოტზეო, ამიტომ პორტ-არტურის დაცემით, ავტორის აზრით, ესკადრას არაფერი დააკლდაო. კარგი და პატიოსანი. აქედან ცხადად გამოდის, რომ მეორე ესკადრაც არ უნდა გაეგზავნათ და რაკი გაგზავნეს, ეხლა უკან მაინც უნდა დააბრუნონ. სულაც არა. ბ. პრიბოიმ იცის, რომ მეორე ესკადრა, საერთშორისო უფლების ძალით, ვერსად მოუცდის მესამე ესკადრის მოსვლას და მით მაინც ამბობს, მეორე ესკადრამ გზა უნდა განაგრძოსო. ბ. პრიბოი სწერს: „ესკადრის დაბრუნება ომის მოსპობასთან ბარი-ბარსაა; განა ეხლა ომის მოსპობაზე ლაპარაკი კი არ შეიძლება? არა. ეხლა ომი დაწყებულია და ფიალა ძირამდე უნდა შევსვათ, უნდა ვუშველოთ ესკადრას, უკან წამოსვლა კი არ შეიძლება. ვიმეორებ, ესკადრის უკან დაბრუნება ომის მოსპობა იქნება. რასაკვირველია, სჯობდა ერთად გაგვეგზავნა მეორე და მესამე ესკადრა, მაგრამ ჩვენ თითონ ჩავიდინეთ ეს შეცდომა და ეხლა მეტი ჩარა არაა, ბოლომდე უნდა გადაგვხდეს შედეგი ჩვენის შეცდომისა. გამარჯვების იმედი მაინცა გვაქვს; რადგან ეს იმედი შორს არ წაუვა ჩვეულებრივ რუსულ «ავოს»-ს, ამიტომ წინადვე უნდა ვიცოდეთ, რომ შეიძლება ჩვენ ესკადრას მარცხიც მოუვიდეს და ეხლავე ბეჯითად მოვემზადნეთ, რომ ამ მარცხის შედეგი გავასწოროთ“. ამ საქმეს კიდევ დავუბრუნდებით,—ამბობს ბ. პრიბოი. ადვილი გასაგებია, რომ ბ. პრიბოის არავითარი იმედი არა აქვს „ავოს“-ისა, ანუ საეგებიო გამარჯვებისა, დარწმუნებულია, რომ ესკადრა დამარცხდება და მით მაინც წინა ჰგზავნის ესკადრას. განა ეს ბოროტ-მოქმედება არაა? რა უნდა იგრძნოს რუსის ხალხმა, როდესაც საზღვაო ავტორიტეტები (საზღვაო საქმის მცოდნენი) ეუბნებიან, რამდენიმე ათასი რუსის მეზღვაური და რამდენსამე ას მილიონად დამჯდარი ესკადრა საეგებიოდ მიდიან შორეულ-აღმოსავლეთსაო? არა მგონია, ამისთანა საეგებიო ომი კიდევ ყოფილიყოს როდისმე. ბ. პრიბოი ასე სჯის: 1) ესკადრა გზას რომ გაუდგეს, დაიღუპება, 2) ომის მოსპობა არ შეიძლება, 3) ესკადრის დაბრუნება ომის მოსპობას ჰნიშნავს. ამიტომ, დაე, დაიღუპოს ესკადრა. რატომ არ შეიძლება ომის გათავება? რუსეთის სახელი მოითხოვს ომსა?! პირველ ესკადრის შემდეგ, ეხლა მეორე ესკადრაც რომ დაიღუპოს, განა ეს რუსეთის სახელს აღადგენს? საოცარი აზრია სწორედ! ვაი რუსეთის ბრალი!“

ბ. პრიბოის ვინმე ბ. სუუფუნმაც კი დაუწერა პასუხი „ნოვოსტი“-ში: ბ. სუუფუნი სწერს: „ბ. პრიბოის წერილებიდან ცხადად გამოდიოდა, რომ წყნარ ოკეანის მეორე ესკადრა სუსტია იაპონიის ფლოტზე და ბრძოლის დროს პირველ ესკადრასავით იქნება განადგურებული, მაგრამ ბ. პრიბოი სრულიად მოულოდნელად ამბობს, იქნება პირველ ბრძოლაში წყნარ ოკეანის მეორე ესკადრამ გაიმარჯვოსო. რა უფლება აქვს ბ. პრიბოის ამის თქმისა, თუ მართლა გულწრფელად სძულს ოცნება, ფანტაზია და ილიუზია?

განა თითონ ბ. პრიბოი არ ამტკიცებდა, რომ წყნარ ოკეანის მეორე ესკადრა სუსტია იაპონიის ესკადრაზეო? მაგრამ ოცნება მეტად სასიამოვნოა და ოცნებაში გამარჯვებაც ადვილია. ბ. პრობოი ოცნებობს განადგურებულ მეორე ესკადრას მესამე ესკადრა მიეშველება და რუსის ფლოტი ზღვაზე გაბატონდებაო. ვნახოთ, რას წარმოადგენს მესამე ესკადრა. ვსთქვათ, ყველა გემი, რაც კი გვყავს მომზადებული თუ მოუმზადებელი, შევკრიბეთ და მესამე ესკადრა შევადგინეთ; ვსთქვათ ისიც, რომ მეორე და მესამე ესკადრა ერთად ჩავიდნენ შორეულ-აღმოსავლეთს; იაპონიის ფლოტი მაინც ძლიერი იქნება რუსის ფლოტზე. მაშ, რაღა საჭიროა მესამე ესკადრის გაგზავნა? აბა, ბ. პრიბოიმ სცადოს და დაგვიმტკიცოს ამ ესკადრის გაგზავნის სარგებლობა, მხოლოდ ოცნებას თავი დაანებოს. ბ. პრიბოის პირველ წერილებიდან ცხადად გამოდიოდა, რომ რუსეთი ტყუილად გაჰგზავნის ფლოტს შორეულ-აღმოსავლეთში, სულ ერთია, ვერას გჰახდებაო; რუსეთი დიდი და ძლიერი სახელმწიფოა და საეჭვო, სახიფათო საქმეებს უნდა ერიდებოდესო. ეხლა-კი ბ. პრიბოიმ ოცნებობა დაიწყო. საინტერესოა ვიცოდეთ, როდის უფრო გულწრფელად სწერდა ბ. პრიბოი“?

წვრილი ამბები. გასტონ დრიუ პეტერბურგიდგიდან დეპეშით ატყობინებს „ეკო დე პარი“-ს: სარწმუნოდ გავიგე, რომ რუსის არმია უსათუოდ წინ გაილაშქრებს. საცაა დიდი ამბები მოჰხდება მანჯურიაშიო. (ნ. დ.).

„რუს“-ს ატყობინებენ ცინხენჩენიდან: ჩინელები ამბობენ, ტუნგოსა და მიარშანში, კუროკის საზღვარე (მდ. იალუს სათავეში), იაპონელებს ჯარი უყენიათო.

გენ. მიშჩენკოს რაზმის თარეშში ერთი ფრანგი აფიცერი ბერტენიც იღებდა მონაწილეობას. ბერტენს წერილი მიეწერა პარიჟში: ვერხნეუდინის ყაზახის პოლკში ჩამრიცხეს. პირველ ბრძოლაშივე დავამ-

ტკიცებ, რომ ნამდვილი მეგობარი ვარ რუსებისაო. ეს წერილი 14 იანვარს მიიღეს პარიჟში, იმავ დღისით დეპეშა მოვიდა, ბერტენი 1 იანვარს დაშიჩაოსთან მოჰკლეს იაპონელებმაო. (ნ. ვ.).

—

„რუსკოე სლოვო“-ს კორესპონდენტი კლიმკოვი დეპეშით იუწყება ხუანშანიდან: გენ. მინშჩენკოს თარეშის დროს ყაზახებმა ვერც ერთი ხიდი ვერ დაანგრიეს, რადგან იაპონელები საოცარის ბეჯითობით ჰყარაულობენ ხიდებსაო.

—

„ნოვოე ვრემია“ ს დეპეშით ატყობინებენ კუნძულ სახალინიდან: კუნძლ სახალინის მცხოვრებლები ბეჯითად ადევნებენ თვალ-ყურს წყნარ ოკეანის მეორე ესკადრის მოძრაობას. ეს ესკადრა რომ მოსულიყო, სახლებსა და მოძრავ ქონებას უფრო კარგ ფასში გაჰყიდდნენ პატრონები, ვისაც ხმელეთზე წასვლის ნება აქვს. პორტ-არტურის აღების შემდეგ ბევრნი ჰყიდიან ქონებას და გაჩქარებით მიდიან ციმბირში; ბევრი მოხელე და აფიცერიც აპირობს ციმბირში წასვლას. აქ ცხოვრება საშინლად გაძვირდა ბევრი რამ სულ არ იშოვება; ნიკოლაევსკიდანაც (მდინარე ამურის შესართავშია) ვერაფერი მოაქვთ ძაღლებით; ჩრდილოეთ სახალინის მცხოვრები ასობით ჰყიდიან ირმებს ნიკოლაევსკში საკლავად.

„ეკო და პარი“-ს ატყობინებენ პეტერბურგიდან: გერმანია თითონ 90,50°/₀ სესხულობს ფულსა. რუსეთს-კი 95°/₀-ად აძლევს. სულ გერმანიამ 80 მილიონი ასესხა რუსეთს, და ეს ფულიც სულ გერმანიაში დარჩა შეკვეთილ სამხედრო სურსათის გარანტიად. ნამდვილად გერმანია თავის ჯიბიდან ცოტას გაიღებს. გამოდის, რომ გერმანია თავის მეგობრობისათვის უხვ ჯილდოს იღებს რუსეთისაგან. (ნ. დ.).

ახალი ამბავი

მუშათა გაფიცვა პეტერბურგში. „ნოვ. ობოზ.“-ს პეტერბურგიდგან დეპეშით ატყობინებენ 12 იანვრის თარიღით; „ბევრგან საგაზეთო კიოსკები დანგრეულია, ქარვასლის (Гостиный дворъ) კარები დალურსმულია და დანარჩენ მაღაზიებსა და დუქნებსაც საჩქაროდ ჰკეტავენ. გუშინ ღამ ქუჩებში სამარისებური სიჩუმე სუფევდა“.

⁂ **ლორთქიფანიძის დაჭრა.** იმავე გაზეთს ქუთაისიდან ატყობინებენ, რომ 11 იანვარს, ღამის 11 საათზე, მსუბუქად დაჰკრეს ქუთაისის საურთიერთო ნდობის ბანკის ახალი თავმჯდომარე ლორთქიფანიძე. ბოროტ-მოქმედი მიმალულა.

⁂ **წმ. ნინოს დღეობა.** დღეს, 14 იანვარს, ქართველთა განმანათლებელის წმ. ნინოს დღესასწაულია და სიონის საკათედრო ტაძარში წირვა იქმნება რუსულსა და ქართულს ენებზედ.

⁂ **ჩვეულებრივი წლიური აქტი ტფ.** წმ. ნინოს დედათა სასწავლებელში გადაიდვა სხვა დროისთვის. დღეს კი ამ სასწავლებელში მხოლოდ წირვასა და პარაკლისს გარდაიხდიან ექსარხოსი და სასწავლებლის მღვდელი.

⁂ **მკვლელობა.** გუშინ-წინ, 12 იანვარს, ამიერ-კავკასიის რკინის გზის მთავარ სახელოსნოების სადგომში, დილის 7 საათზედ, შემდეგი ამბავი მოჰხდა: იმ დროს, როდესაც ვაგონთა ცეხის ბრიგადირი სამსონ გამყრელიძე, 54 წლისა, სახელოსნოების კანტორაში იჯდა და დღიურ სამუშაოთა წეს-რიგს ადგენდა, ვიღამაც ორჯერ რევოლვერი ესროლა ფანჯრიდგან. ერთი ტყვია მოჰხვდა გამყრელიძეს მარცხენა თეძოში, ხოლო მეორე ტყვია კი ფანჯრის თამჩას მოჰხვდა და შიგ გაჩერდა. გამყრელიძეს გრძნობა დაეკარგა და იქვე დაეცა. დაჭრილი დაუყოვნებლივ გაჰგზავნეს რკინის გზის საავადმყოფოში. ბოროტ-განმზრახველი დაიმალა. დაჭრის მიზეზი არ იციან. გამყრელიძე მეტად საშიშოდ იყო დაჭრილი და გუშინ კიდევაც გარდაიცვალა.

⁂ **ბოზარჯიანცის ნოქრის საქმე.** დღეს, 14 იანვარს, ტფ. ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის მე-2 განყოფილებაში დანიშნულია გასარჩევად თამბაქოს ფაბრიკის პატრონის ნ. ი. ბოზარჯიანცის თამბაქოს მაღაზიის უფროს ნოქრის ნიკ. საკიანცის საქმე, რომელსაც ბრალდება ფაბრიკის პატრონის ბოზარჯიანცის მოკვლის განზრახვა. საკიანცი ბოზარჯიანცთან 11 წელიწადს მსახურებდა, ხოლო ამდენის ხნის სამსახურის შემდეგ დაითხოვეს სამსახურიდგან; ამ გარემოებამ გამოიწვია საჩივარი ბოზარჯიანცსა და საკიანცს შორის; უკანასკნელი უჩიოდა პირველს ცილის წამებას; ამის გამო შეტაკება მოუხდათ ბოზარჯიანცის მაღაზიაში მოსამსახურეებსა და საკიანცს, რომლის დროსაც უკანასკნელმა რევოლვერი ესროლა ბოზარჯიანცს, თუმცა ააცდინა კი.

⁂ **დრამატიული ცენზურა.** როგორც ჟურნალი „Т. и Иск.“-ს გაუგია, მინისტრთა კომიტეტში, რომელსაც მინდობილი აქვს ბეჭდვითი სიტყვის შესახებ კანონთა გადათვალიერება და შეღავათის მიცემა პრესისათვის, ლაპარაკი ჩამოვარდნილა სხვა და სხვა ერთა და სხვა ენათა დრამატიულ ლიტერატურაზედაც, და გადაუწყვეტიათ გააუქმონ ის ცირკულიარები და დღემდე არსებული კანონები, რომელიც მეტად ავიწროვებდა და ახლაც ავიწროვებს წარმოდგენების გამართვისა და დრამატიულს ლიტერატურას მალოროსიულსა, პოლონურსა, ებრაულსა, ქართულსა, სომხურსა და სხვა ენებზედ.

⁂ **ქალაქის საბჭოს ხმოსანი ბ-ნი მახ.** ყიფიანი ამ დღეებში პეტერბურგს მიდის. ქალაქის მოურავმა ევრმიშევმა ბ-ნს ყიფიანს მისცა მოწმობა მიიღოს საერო განათლების სამინისტროსაგან ყველა ის ცნობები, რომელიც საჭიროა საყოველთაო სწავლის შემოღებისათვის მოხსენების შესადგენად.

⁂ **ელექტრონის ტრამვაიმ** გუშინ ვორონცოვის ძეგლიდგან ერევნის მოედნამდე დაიწყო მოძრაობა. საგანგებო კომისია, ტფილისის გუბერნატორისაგან დანიშნული, ამ დღეებში დაათვალიერებს გოლოვინის პროსპექტის ლიანდაგზედ ელექტრონის მოწყობილობას და მოკლე ხანში ამ ლიანდაგზედაც დაიწყებს მოძრაობას ელექტრონის ტრამვაის ვაგონები.

⁂ **ბავშვის გასრესა.** გუშინ-წინ, 12 იანვარს, ნაშუადღევის ასე 3—4 ს. ერთი მეტად გულის შემზარავი ამბავი მოხდა ელისაბედის ქუჩაზედ: იმ დროს, როდესაც ერთი დედაკაცი (ამბობენ რუსი იყო, მეეზოვის ცოლიო) თავისის 8—9 წლის ქალიშვილით ტრამვაის ლიანდაგზედ გადადიოდა, მოუსწრო ელექტრონის ტრამვაის ვაგონმა. დედამ, როგორც იყო, გადაასწრო იქეთა მხარეს და საბრალო ბავშვი კი შეითრია ვაგონის თვლებმა და ასე 35 ნაბიჯზედ გაათრია, რის გამოც ლუკმა-ლუკმა აქცია, ტვინი მიწაზედ კოვზით ასაფხეკი შეიქმნა და სხვა და სხვა ასოებიც აგრეთვე აკრიფეს, გვიკვირს, ნუ თუ ისე ძნელი და მოუხერხებელია ელექტრონის ვაგონის შეჩერება, რომ თორმეტ საჟენზედ ვერ შეაჩერეს? ბელგიის უსახელო საზოგადოებას მეტი სიფრთხილე ჰმართებს, რომ კვლავ არ განმეორდეს ასეთი უბედური შემთხვევანი.

⁂ **ფილარმონიულ საზოგადოებას,** სხვათა შორის, წესდების ძალით დავალებული აქვს სასულიერო გალობის მოწყობის საქმეც, მაგრამ საზოგადოების დამაარსებელთა პირველ კრებას არც ერთი მღვდელთაგანი არ დასწრებია. რას უნდა მივაწეროთ ეს გარემოება? ნუ თუ დაუდევრობას? კვირას, 16 იანვარს, გაგრძელება იქმნება პირველ კრებისა და, იმედია, მაშინ მაინც დაესწრებიან სასულიერო უწყების წარმომადგენელნი.

⁂ **საგანანსო კომისიის კრება.** დღეს, 14 იანვარს, კრება ექნება საბჭოს საფინანსო კომისიას. კრებამ უნდა განიხილოს, რა ხარჯები მოუნდება რიყეზედ მტკვრის ნაპირის გამაგრებას იმ შემთხვევისათვის, თუ ვინიცობაა წყალდიდობა იქმნა.

⁂ **მადლობის გამოცხადება** ჩვენ გვთხოვენ დავბეჭდოთ შემდეგი: „ნება მიბოძეთ თქვენის პატივცემული გაზეთის საშუალებით მადლობა გამოვუცხადო ნიკოლოოზ კირიელს ძეს რაზმაძეს, რომელმაც დაკლებულის ფასით დაგვიკვეთა გაზ. „ივერია“ და „Новое Обозрѣніе“, ხოლო ჟურნალები: „მწყემსი“ და „მოგზაური“ უფასოდ დაგვითმო 1904 წელს. ტომსკის სტუდენტების დავალებით სტუდენტ-ტეხნოლოგი ალ. ლომიძე.

⁂ **შეცდომათა გასწორება.** „ივერიის“ გუშინდელ ნომერში შემდეგი თვალ-საჩინო შეცდომებია კორრექტორის დაუდევრობისა გამო; დაბეჭდილია ანჟ. სიმონოვიჩის ნეკროლოგში: „ექიმი გეოლოგიისა“; უნდა იყოს „დოქტორი გეოლოგიისა“; ამავე წერილში დაბეჭდილია „დიდად პატიოსანო“-ს ნაცვლად—„დიდ პატიოსანო“; გარდა ამისა, „ახალ ამბებში“, მეორე გვერდის პირველ სვეტზედ, დაბეჭდილია: „სადგურ ბალაჯარადგან გვატყობინებენ“; უნდა ყოფილიყო: „სადგურ ბალაჯარადგან „ცნობ. ფურ.“-ს ატყობინებენ“ და სხვ.

საქართველო

ს. გურჯაანი. „თავად არ იყო ძმარიო, შიგ გაურიეს წყალიო“, ამ გონიერულის ანდაზისა არ იყოს, ჩვენი გონებრივი განიორწყულება დღემდე საარაკო იყო და ეხლა ჩვენს სულიერს დაბეჩავებას ვიდა მოსთქვამს. ბატონო, ჯერ აქამდინ იყო და ჩვენი პატარა ბიჭები გაუგვირია ამ უკუღმა წასასვლელმა სკოლამა, მთლად დედმამის სიყვარული და პატივისცემა დაეკარგათ, გარჯა-შრომა ეზარებათ და დღემდე ყველა თავში ვიცემდით—ერა ღმერთი გაგვიწყრა, რათ მივაბარეთ ეს ბავშვები, თუ კი ესე გაირყვნებოდნენო. ბატონო, სკოლაში ვერც იმღენ რუსულსა სწავლობდნენ, რომ საყველპუროდ გამოეყენებინათ ბავშვებსა და ამით ქართულის ენის კარგად სწავლასაც სცდებოდნენ, ორივედგან [illegible]არიელ-ტარიელნი რჩებოდნენ. აგერ ამ წინაზედ მოვიდა ტფილისის გუბერნიის სამინისტრო სკოლათა ინსპექტორი ბ-ნი შ. და ჩვენს მასწავლებელს ლონგინოზ ყანჩაველს უბრძანა «დღეის შემდეგ აღარ გაბედო ქართულის ენის სწავლება სკოლაშიო». მღვდელს იოსებ ახალშენიშვილს კი უბრძანა—„თუ გნებავთ, თქვენ ასწავლეთ ბავშვებს ქართული ენაო“. დაღონდნენ მასწავლებელი და მღვდელი, დავღონდით ჩვენც.

აქამდინ არა გვჯეროდა გაზეთებში წაკითხული ამბები, რომ აქა და აქამდაამ სკოლაში ქართველ ბავშვებს ქართული ენის სწავლება აუკრძალესო. არა გვჯეროდა, მაგრამ მართალი გამოდგა და დღეს ყველასა გვჯერა. ბატონო, რა უბედურებაა, რა ღვთის წყრომაა, რომ სოფელმა სამას თუმნიანი სახლი წამოუდგა სკოლას, ყოველ წლივ ორმოცდაათ თუმნამდე ხარჯავს მის შესანახად და ბავშვები კი სრულიად არასა სწავლობენ, პირიქით ირყვნებიან, ფუჭდებიან და არც არას თავის სახლს არგებენ, არც არას დედმამასა და სოფელსა.

ერთი მიბრძანეთ, განა მთავრობისათვის სასარგებლოა ამისთანა გარყვნილ კაცუნების გამრავლება? ხომ დაეიღუპენით, თუ ეს უკუღმართი სწავლა არ მოისპო და გონივრული, უფრო სასარგებლო არ შემოიღეს? გეიშველეთ რამე, თქვენი ჭირიმეთ, ვისაც კი რამ შეგიძლიანთ.

ნეკრა.

მოხსენება ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობისა

საზოგადოების განყოფილებათა აღმასრულებელ კომისიებს ინსტრუქციის შესახებ.

თეატრმა ჩვენს ცხოვრებაში თვალსაჩინო ადგილი დაიჭირა და მოთხოვნილება საზოგადოებისა თეატრისადმი ჩვენის ქვეყნის ცოტად თუ ბევრად თვალსაჩინო დაბა-ქალაქებში დიდია. ამ ბუნებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ბევრი რამ დაბრკოლება ეღობება წინ, და უმთავრეს კი ის არის, რომ კერძო პირს, ანუ კრებულს, მთავრობის მოხელენი წარმოდგე ნის გამართვის ნებას არ აძლევენ. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ რამდენისამე ქალაქიდგან (ბათუმი, ბაქო) წინადადებ მიიღო, რომ ამ ქალაქებში „საზოგადო ების“ განყოფილება დაარსებულიყო. კერძოდ ამნაირი განყოფილება ქუთაისში არსებობდა ორის სეზონის განმავლობაში მაგრამ განყოფილების ასეთს არსებობა არც საზოგადო კრების სანქცია ჰქონდა, არც ინსტრუქცია მოქმედების სახელმძღვანელოდ, რის გამოც „საზოგადოებასთან“ დამოკიდებულება გამოურკვეველი იყო.

გამგეობამ, გაითვალისწინა-რა ეს გარემოება, საჭიროდ სცნო გამოერკვია,—აქვს თუ არა საზოგადოებას წესდების ძალით უფლება განყოფილებათა დაარს ბისა საქართველოს დაბა-ქალაქებში, და თუ აქვს, რა სახით უნდა იმოქმედონ ა განყოფილებებმა?

ჩვენის „საზოგადოების“ წესდებაში ა არის იმისთანა მუხლი, რომელიც განყო ფილების დაარსების ნებას გვაძლევდე ხოლო წესდების მე-25 § ნებას აძლე საზოგადო კრებას, თავის განზრახვა განსახორციელებლად აირჩიოს განსაკ თრებული აღმასრულებელი კომისიებ გამგეობის აზრით, მარტო ამგვარ კომი სიებს შეუძლიანთ, საზოგადო კრების მინ დობილობით, ხელმძღვანელობა გაუწიო ქართულ წარმოდგენებს ამა თუ იმ ქალა ქებში, იმ პირობით კი, რომ წინად გამოირკვეს კომისიათა უფლება-მოვა ლეობანი.

დრამატიულ საზოგადოების გამგეობ შეიმუშავა ქვემოხსენებული ინსტრუქ ხსენებულ საზოგადოების აღმასრულებე კომისიებისა და სთხოვს კრებას, დაამტ ცოს ეს ინსტრუქცია გამგეობისა და კომისიების სახელმძღვანელოდ.

ინსტრუქცია

ქართულ დრამატიულ საზოგადოების აღმასრ ლებელ კომისიებისთვის

§ 1. აღმასრულებელ კომისიას ირჩევს ს ზოგადო კრება სამის წლის ვადით საზ გადოების წევრთა შორის.

§ 2. კომისიის წევრთა რიცხვი სამ ნაკლები და ხუთზე მეტი არ უნდა იყოს.

§ 3. კომისია, საზოგადო კრების-მი არჩევის შემდეგ, თავის წევრთა შორის ი ჩევს: თავმჯდომარეს, მის ამხანაგს, მდივან და ხაზინადარს.

§ 4. აღმასრულებელ კომისიათა მოვალ ობაა: ა) მოიპოვოს საშუალება ქართულ წ მოდგენების გამართვისათვის იმ ქალაქებ და დაბებში, სადაც კომისია ჰმოქმედებ ამისათვის ის აგროვებს საწევრო ფულ და კერძო შემოწირულებას და ჰმართავს ს ქველმოქმედო აზრით წარმოდგენებს; ყოველ წლიწადს უნდა წარუდგინოს საზ ზოგადოების გამგეობას შემოსავალ-გასა ლის ანგარიში არა უგვიანეს 1 აპრილისა გ) ყოველ შემოდგომაზე სეზონის დაწყ ბამდე უნდა წარუდგინოს საზოგადოების გ მგეობას თავისი მოსაზრება ქართულ წა მოდგენების გამართვის შესახებ, ხარჯ

ფელეტონი

ზ. ავალიშვილის წიგნის გამო.

ავალიშვილის წიგნი „Присоединеніе Грузіи къ Россіи“ დაიბეჭდა 1902 წელს, მაშინ, როდესაც იუქმეს პირველ ასეულის წლის იუბილე შემდეგ საქართველოს შეერთებისა რუსეთთან.

ამ წიგნის შესახებ მაშინ ითქვა ბევრი წინა-უკმო აზრი, დაიხარჯა ბევრი უხამსი სიტყვა.

ავტორს მიზნად ჰქონია გააცნოს მკითხველებს ის „ბილიკები“, რომელთაც მიიყვანესო საქართველო 1801 წლის 12 სეკდემბრის მანიფესტამდე. პირველად ლაპარაკობს „ისტორიულ პერსპექტივის საჭიროების შესახებ“ და მის შესახებაც, რომ საჭიროა ვიცოდეთ საზოგადო მსვლელობა საქართველოს ისტორიისა, „პოლიტიკური მდგომარეობა XVIII საუკუნისა“: ავტორი აღნიშნავს ამ „მდგომარეობასაც“ და ამ „მსვლელობასაც“, ხოლო მანამდე თავის წიგნის წინასიტყვაობაშივე გააცნობს მკითხველებს იმას, თუ როგორ მოხდა საქართველოს შეერთება რუსეთთან.

„ერთხელვე გადასწყვიტეს,—ამბობს ავტორი,—საქართველო შეუერთონ რუსეთს როგორც პროვინცია. ასეთი ძირითადი გარდაწყვეტილება საკითხისა მაშინ არც თუ მეტად მწვავი იყო; ყოველი დიდი პოლიტიკური საქმე მოითხოვს მსხვერპლს და მაშინ ასეთი მსხვერპლი უნდა შეეწირა საქართველოს. მაგრამ ახლა შეგვიძლიან თქვათ, რომ საკითხის ასეთი გარდაწყვეტა თავდაპირველადვე საკეთილო იყო; პრივილეგია ადრე თუ გვიან წაერთმეოდა, ე. ი. მას წაართმევდნენ როგორც იმისთანა რამეს, რომელიც რუსეთს საზოგადოდ არ უყვარს. მაშ რაც ადრეა, ის უკეთესია, მით უფრო მალე დავიწყებას ეძლევა ის, რაც უნდა მოკვდეს“ (გვ. VI).

ავტორი გვაუწყებს (გვ. 76), რომ ქართველებს „შეძლება არ ჰქონდათ ამაღლებულიყვნენ უფრო რთულ პოლიტიკურ იდეებამდეო, რადგან ამისთვის მათ აკლდათ უფრო რთული იატერესებიო. პრიმიტიული წეს-წყობილება შეიქმს პრიმიტიულს მსჯელობას და პრიმიტიულს პოლიტიკასო“.

რაა ეს „პრიმიტიული“? ქართველებს ჰქონდათ თავისი კანონები, თავისი საკმაოდ მდიდარი ლიტერატურა, თავისი ფრიად განვითარებული ენა, ლაშქარი ტარიელის ტრადიციებით, ციხე-ქალაქები, რომელთაგანაც ერთი, ტფილისი, დელაპორტის სიტყვით, სისუფთავითადა მოწყობილობით არ ჩამოუვარდებოდა მაშინდელს პარიჟს; იგინი, აზიელ ბარბაროსთა გარშემორტყმულნი, მამაცურად იცავდნენ თავისს სარწმუნოებას, ენას, ზნე-ჩვეულებას... მაშ რა იყო ეს „პრიმიტიული“? ის, ალბად, რომ თამარ მეფის შემდეგ ქართველები ვერ შეჯგუფდნენ და ვერ შეადგინეს ერთი მთლიანი სამეფო (გვ. 41 და სხ.). მაგრამ ესეც ხომ ტყუილია. „პრიმიტიული“ კაცები ხომ მოვიდნენ ერეკლესთან და ითხოვეს მიეღო გვირგვინი მთელის საქართველოისა, ძველის ივერიისა! პრიმიტიულ იდეის პატრონებმა ხომ გააერთიანეს მთელი იმერეთი და თვისი დროშა ხომ აღაფრიალეს განჯას, ერევანს... ამას გარდა, გერმანია დღესაც დაყოფილია საოებად, ნუ თუ იქაც ვერ „შესძლეს ამაღლებულიყვნენ უფრო რთულ პოლიტიკურ იდეებამდე“?

სახელმწიფოს „პრიმიტიული“ წესწყობილება და პოლიტიკურ იდეიებას სიმჩატე ყოველთვის იმის მომსწავებელი არ არის, რომ ასეთი სახელმწიფო უნდა დაემხოს და მოისპოს. ეს რომ კანონი ყოფილიყო დღეს ხსენებაც აღარ იქნებოდა სპარსთა, ოსმალთა და ამგვარ სუსტ და «პრიმიტიულ» წეს-წყობილებიან ერთა სახელმწიფოებისა.

უსაფუძვლოა ანუ, უკეთ ვსთქვათ, რუსეთის პოლიტიკის წინააღმდეგია ჩვენის ავტორის შემდეგი მოსაზრებაც:

„ყველა არსებითისაგან ხელი აიღეს (საქართველოს მეფეებმა), მაგრამ თავისთვის კიდევ ინდომეს პრივილეგიები; ისინი მზად იყვნენ მეფის მაგიერ გამხდარიყვნენ საქართველოს მემკვიდრეობით მმართველებად. მაგრამ ასეთი საშუალო საუკუნოებრივი წესი ვერ შეეგუებოდა მე XIX საუკუნეს. რახან უმთავრესი უფლება მფლობელობისა გადაეცემოდა რუსებს, მეფის უფლება ხდებოდა უშინაარსო ფორმად, გამოწოწნილ კვერცხის ნაჭუჭად. გადატყორცნა ამ ნაჭუჭისა ლობეს იქით საჭირო იყო; ეს ვერ შესძლეს თვით დინასტიის წარმომადგენლებმა; ვერ შესძლეს ქართველებმაც, რომელთაც საამისო უნარი არა ჰქონდაო; ეს შეეძლო და უნდა შეესრულებინა მხოლოდ რუსეთის მთავრობას: მაინც შეასრულა ეს ამოცანა,—უმადური ამოცანა დინასტიის გადაყენებისა, რომელმაც მოიჭამა თავისი დრო“ (გვ. 198).

მწარედ სცდება ავალიშვილი, ასე რომ მსჯელობს. განა მე-XIX საუკუნე არ იყო, რომ რუსეთი იგუებდა „პრივილეგიებით“ ბუხარის ემირს, სამეგრელოს დადიანს?!

დამხობა საქართველოსი, ყირიმისა და სხვა სახანოებისა უმთავრესად გამოიწვია იმ ტრადიციამ, რომელიც მოითხოვდა, რუსეთი დაახლოვებოდა და გამაგრებულიყო კასპისა და შავს ზღვაზედ, რომ მერე მისწვდომოდა კონსტანტიეპოლსა და ინდოეთს. ეს ძველის-ძველი ტრადიცია იყო რუსეთისა.

სტიქიონური მსვლელობა რუსეთისა კავკასიისკენ დაიწყო მე-XI—X-16 საუკ ნეშივე, და არა თუ არ შეჩერდა საქა თველოს შეერთებით, არამედ უფრო ი ტენსიური შეიქმნა და დღესაც არ მო პობილა. ძალა ამ მსვლელობისა ისე ძლი რი იყო, რომ ჯერ ისევ საქართველო შეერთებაზე ჩრდილოეთ-კავკასიის ვე ყაზახთა სადგურებითა და სოფლებ გაივსო, მათი ციხეები და კოშკები ა მართა მდ. ყუბნისა, თერგისა და არ გვის ნაპირებზე; ჯერ პეტრე დიდ დროსვე დაპყრობილ იქმნა კასპიის მხ ოლქები, ხოლო ეკატერინეს უკვე ს და განმტკიცებულიყო (1785 წე ადერბეიჯანს (ბუტკოვი. 2, 155); საქა თველოსთან მჭიდრო კავშირის დასამ რებლად გამართული იყო საყარაულო ბი და ციხე-კოშკები მოზდოკიდგან ყა ბეგამდე (ბუტკ., I, 281, II, 131) ინგუშთა სოფელი ზაუგი გადაკეთებუ იყო ციხე-ქალაქად, რომელსაც ეწო (1784 წ.) ვლადიკავკავი. ამას გარ ჯერ ისევ 1783 წლის 24 ივლისის ნად, ხელშეკრულობის დადებამდე, საქართ ლოში გამოიგზავნა ბურნაშოვი და დაევალა მოეარნა მთელი საქართვე და დაენიშნა მოხერხებული ადგილ ციხე-კოშკების დასადგმელად. ბურნაშო ყოველივე საიდუმლოდ დაათვალიერა საჭიროდ დაინახა რუსებს ციხეები ჰქონ დათ ხნის წყალზე იმერეთს და კუმ

რიცხვა და განზრახული რეპერტუარი; დ) მისია აწარმოებს შემოსავალ-გასავლის და- არს; ე) კომისიამ უნდა წარუდგინოს „სა- ოგადოების „გამგეობის რწმუნებულს პირ- თ მოთხოვნილებისა თანავე შემოსავალ-გა- სავლის დავთარი შესამოწმებლად და 3) კო- ისიამ უნდა იკისროს წარმოდგენების მართვა- ამგეობა.

§ 5. კომისიის-მიერ შეკრებილი ფული ა წარმოდგენების მოგება უნდა მოხმარდეს დგილობრივ სათეატრო საჭიროებას, ხო- თ ზარალს თვით კომისია ჰფარავს კომი- ის წევრთა პასუხის-მგებლობით.

§ 6. დრამატიულ საზოგადოების გამგე- ბა თვალყურს ადევნებს კომისიათა მოქმე- ებას, ამოწმებს შემოსავალ-გასავლის დავ- რებს, ამტკიცებს რეპერტუარს, ურდგენს საზოგადო კრებას თავის შენიშვნებით კო- მისიის-მიერ წარმოდგენილ ხარჯთ-აღრიც- ვას, წლიურ ანგარიშსა და სხვა მოსაზრე- ათ დასამტკიცებლად.

§ 7. წარმოდგენებს კომისიები აწარმოე- ენ დამოუკიდებლად და თანახმად საზოგადო რების-მიერ დამტკიცებულ ხარჯთ-აღრიც- ვისა.

§ 8. იმ შემთხვევაში, როცა რომელიმე კომისია მოსპობს თავისს მოქმედებას, უთ- ელი მისგან შეძენილი ქონება და ფული დრამატიულ საზოგადოების საკუთრებად ჰხდება.

ცოტა რამ ქართულ ღვთის მსახურებაზე

ის სამწუხარო ამბავი მორწმუნე ქართველთა სარწმუნოებრივ ცხოვრებისთვის, რომ ქართველი მღვდელ-მთავარი შობა-ახალ წელიწადს, ნათლიღება დღეს, აღ- გომას და სხვა დიდ დღესასწაულებში საქართველოს დედა-ქალაქში მოუცლელია ქართულ ღვთის-მსახურებისათვის, ივერიის შობის ნომერში განვმარტეთ და განკარგულებასაც ეთხოვდით ალექსი მთავარ ეპისკოპოსს ქართულის სამღვდელმთავრო ღვთის-მსახურების შემოღებისას ასეთ დღესასწაულებში, მაგრამ მოხდა რამ განკარგულება და ქართული მღვდელმთავარი დღესასწაულებში მოცლილი იქნება ქართულის თვის ღვთის-მსახურებისა თუ არა, არა ვიცით-რა.

თხოვნას გვავალებდა პატივისცემა დედა-ქალაქის 50000 მორწმუნე ქართველთა სარწმუნოებრივის გრძნობისა, სიმართლე ივერიის სამოციქულო და ავტკეფალის ეკკლესიისა და სარგებლობა თვითონ მართლ-მადიდებელის ქრისტიანობისა, რადგანაც იმავე დედა-ქალაქში 50000 მართლ-მადიდებელთა გარდა, არის კიდევ 60000 გრიგორიანობა, რომელიც სარწმუნოებრივ ურთიერთობით, მართლ-მადიდებელ თანამოძმეებთან უფრო არის დაახლოვებული, შირადაც დაიარება სალოცავად მათს ეკკლესიებში, თორემ ამას კარგად დაამოწმებენ დედა-ქალაქის მართლ-მადიდებელი მღვდლები.

კადნიერად აღვიარებთ, რომ სარწმუნოება საქართველოში დასცა ქართველთ კათალიკოს პატრიარქობის და საეპისკოპოსოების მოსპობამ, რომელსაც მოჰყვა გაუქმება ქართულის საღვთის-მეტყველო სწავლა-განათლებისა, სილატაკე და სიბნელე ქართულის ღვთის-მსახურებისა; დავიწყება ქართულის საეკკლესიო მჭევრმეტყველებისა, ქართულის გალობისა, ქართული კილოთი სამოციქულო-სახარების კითხვისა და, ასე გასინჯეთ, ხუცურის კითხვისაც კი.

სხვა ქვეყნებში სარწმუნოების დასამხობად სისხლის ღვრაც გამხდარა საჭირო და ჩვენში კი ასეთი ამბავი მოხდა სწორედ მშვიდობიანობის დროს, მას აქეთ, რაც რუსეთი შეიქმნა საქართველოს ეკკლესიის მფარველი და ალექსანდრე პირველმა წმ. ნინოს ჯვარი, სპარსთა ყაენთაგან გატაცებული და მათივე მირთმეული, დაუბრუნა საქართველოს ეკკლესიას როგორც მისი საკუთარი სიწმინდე. ამ სპარსეთის ყაენებს და ოსმალეთის ხონთქრებს მანამდე მრავალ გზის უწამებიათ საქართველოცა და მისი ეკლესიაც, მაგრამ სარწმუნოება თუ არ ძლიერდებოდა, არ სუსტდებოდა. ამის მიზეზის იყო, რომ საქართველოს ეკკლესია სარწმუნოებრივის ცხოვრებითა და სწავლა-განათლებით თავისუფალი იყო.

როგორც რუსულ ღვთის მსახურების, ისე ქართულის ღვთის მსახურებისთვის საჭიროა ბრწყინვალება და დღესასწაულებრიობა და ამას მოითხოვს ყოვლადი სამართლიანობა, რომელიც აქამომდე ამაოდ ღაღადებს და ამ ღაღადის დროს ზოგჯერ ისეთი რამეც მოხდება, თითქოს მისი დათრგუნვა სწადდესო. მაგალითად, დედაქალაქში ქართულ გალობის ბედი ღვთის კი არა, ეშმაკის ანაბარად არის დაგდებული, რადგან ღმერთი მაინც არ გასწირავს კაცსა, ეშმაკისგან განაწირსა. ქალაქის სამღვდელოებამ ყოველ წლივ ათასხუთასიოდე მანეთის გადადება გადაწყვიტა ქართველ მგალობელთა გუნდის შესანახად და ამ წმინდა და საღვთო საქმეს, რომელიც მორწმუნეთა სასოებას ესალბუნება, მათის ყურთა-სმენის დატკბობით სამშობლო მუსიკის განვითარებასაც ემსახურება, ლეონიდე და კირიონ მღვდელმთავრები ღირსებით უძღვებოდნენ, მაგრამ აგერ სამიოდე წელიწადია ქართული გალობა მივიწყებულია და ფულიც არ არის მიღებული. რა მიზეზია? ნუ თუ დაუდევრობა? არა გვჯერა.

კლდია.

ნარკვევი

ამას წინად ბაქოში მუშები გაიფიცნენ. საქმე გართულ-გაიხლართა და გამწვავდა: მუშებმა მრავალი ნავთის კოშკი დასწვეს, ნავთის წარმოება შეჩერდა და საქმე სისხლის ღვრამდე მივიდა. გენერალმა ფონ-ვალმა ეს საქმე ადგილობრივ გამოიკვლია და ბოლოს იმ აზრს დაადგა, რომ მუშათა გაფიცვა და არეულობა შედეგია იმ შევიწროებისა და უსახსრობისა, რომელშიაც ბაქოელი მუშები იმყოფებიანო.

მრეწველობის აწ არსებულ წეს-წყობილების გამო მუშათა გაფიცვა აუცილებელია, — სწერს «რუს. ვედ.» — გაფიცვა მუშებისათვის თავის დაცვის იარაღია; ეს იარაღი პასუხია მრეწველთა თვითნებობისა, რომელნიც მუშებს ზოგჯერ ასობით და ათასობით ითხოვენ და ულუკმა-პურად სტოვებენ. ამ მოვლენის უბედური და სამწუხარო შედეგი შეიძლება მოსპობილ იქმნას და უნდა მოისპოს კიდევაც; ამისთვის კი მხოლოდ ერთად-ერთი საშუალებაა — ჩვენი კანონმდებლობა უნდა გადაისინჯოს. ბაქოელ მუშების გაფიცვამ ნათლად დაგვიმტკიცა, რომ მუშების საქმის მოუწყობლობამ საზარელი ნაყოფი გამოიღო. აუცილებლად საჭიროა გაუქმდეს ის კანონები, რომელთა ძალითაც მუშა ყოველ მის მოქმედებისათვის სასტიკად ისჯება, და ამასთან დაკანონდეს თავისუფლება გაფიცვისა, კრებებისა და კავშირისა. დროა უარვყოთ ის ცრუ-მორწმუნოება, ვითომ კაპიტალის ინტერესები სახელმწიფოს ინტერესებს უდრიდეს და ამიტომ მუშათა მოძრაობაც ისე სასტიკად უნდა ვდევნოთ, როგორც სახელმწიფო დამნაშავეთ ვსდევნით ხოლმეო. დროა შევიგნოთ, რომ მუშათა გაფიცვა სულ უბრალო საშუალებაა ეკონომიურის ბრძოლისა მუშებსა და კაპიტალს შორის, რომელიც ამ ბრძოლისათვის ისედაც ძალიან კარგად არის შეიარაღებული.

მინისტრთა კომიტეტმა, რომელიც მუშათა საქმის გაუმჯობესობას აპირობს, ბაქოს დრამას დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს, ჩვენი სათავბრიკო კანონმდებლობა ძირიან-ფესვიანად უნდა გადასინჯოს და აღიაროს, რომ აუცილებლად საჭიროა მუშებს მიენიჭოთ უფლება კოალიციისა და გაერთიანებისა, რომელიც ყველა განათლებულ სახელმწიფოში არსებობს.

თეატრი და ხელოვნება

საიუბილეო წარმოდგენა ბაქოში. 8 იანვარს ბაქოს ქართველობამ გადაიხადა არტისტიულ საზოგადოების დარბაზში თ-დ გ. დ. ერისთავის გარდაცვალების 40 წლის თავი საიუბილეო წარმოდგენით. იუბილეი სამ ნაწილად იყო გაყოფილი: პირველ ნაწილს შეიცავდა განსვენებულის ბიოგრაფია, მეორეს — მისივე 4 მოქ. კომედია „გაყრა" და მესამეს — „საიუბილეო აპოთეოზი".

ბიოგრაფია წაიკითხა ქ-ნმა მ. სა—ძისამ; კითხვამ გასტანა 30 წუთს; ბიოგრაფია დასრულდა შემდეგის სიტყვებით: „ბატონებო, ვუსურვოთ გამარჯვება იმ დიდებულ იდეას, რომელიც უმრავლესობის, დაჩაგრულ-დაბეჩავებულის ინტერესებს ემსახურება...

გაუმარჯოს იმ დიდ-ბუნებოვან ადამიანთ, რომელთაც პირადი კეთილდღეობა, ოჯახური მყუდრო ცხოვრება და ყოველგვარი სუსტ კაცის შემაფერხებელი გრძნობა ზვარაკად შეუწირავთ ამ ნარ-ეკლით მოცულ იდეის ქურუმისათვის; საუკუნო ხსენება ერთ საუკეთესო ღვაწლ-მოსილს, ხალხის მეგობარს, ქართულ სცენის მამათ-მთავარს — გიორგი ერისთავს"...

„გაყრაში" ქ-ნი ანდრონიკაშვილი და სცენის მოყვარულნი იღებდნენ მონაწილეობას და ყველამ კარგად შეასრულა თავისი როლი. განსაკუთრებით კარგნი იყვნენ ბ-ნი შველიძე და თალაკვაძე; პირველი თამაშობდა მიკირტუმას, მეორე — პავლეს როლს და ბევრი აცინეს დამსწრენი.

საუცხოვო გამოვიდა აპოთეოზი და მეტად კარგი შთაბეჭდილებაც იქონია დამსწრე საზოგადოებაზე: შუა სცენაზე აღმართული იყო იუბილიარის გვირგვინით მორთული სურათი. მარჯვნივ იდგნენ მსახიობ-სცენის მოყვარულნი, მარცხნივ — მგალობელნი, რომელთაც ლოტბარობდა ბ-ნი ვ. ღლონტი.

აპოთეოზი დაიწყო „შენ შემოქმედო"-ს გალობით; შემდეგ პეტრე მაჭავარიანმა წაიკითხა ამ სალამოსთვის დაწერილი თავისივე ლექსი, რომელიც აქვე მოგვყავს:

ვაშა და ვაშა!.. დიდება მგოსანს!..
ნეტარ ხსენება სამარადისოდ,
ვინც თვისის „გაყრით" დიდი, პატარა
დღეს აქ შეგვყარა ჩვენ სამეჯლისოდ!..

ვაშა, დიდება ქართულ თეატრის
მამათ-მთავარსა, დამფუძნებელსა,
ქება მისს „დავას", „ჩიჩინ-მაჩინ ქუდს"
ჩვენის სცენისა გამჩაღებელსა!..

აჰა, მის სახე, აი ეს იყო
დიდი გიორგი, ენა-წყლიანი,
მისმა კალამმა შეჰქმნა-დაჰბადა
„თევზის კანტორა", „თილისმის ხანი"!

დიდება იმას!.. მან გაგვიწია,
ვით შვილსა დედამ, დიდი ამაგი
და მან შეუთხზა ჩვენს ღარიბ სცენას
„ძუნწი", „ყვარყვარე და ათაბაგი"!

ქებათა-ქება ჩვენსა გიორგის
დიდება იმის ბრწყინვალე აზრებს,
და გაუმარჯოს ყველას მის მსგავსსა,
ვინც ხალხისათვის თავს მსხვერპლად დასდებს!

დიაღ, დიდება მისს სახელს, შრომას,
ვინც არ უმტყუვნებს თვისს ვალსა დიადს,
ვინც მწარე ტანჯვით ბნელს ცხოვრებაში
ამოაშუქებს ტურფა განთიადს!

ა, იმ განთიადს, რომელიც ასე
დღე ჩაგრულთათვის აშუქ-აბრწყინვებს,
და ქვეყნისათვის თავდადებულთა
გვირგვინად უძღვნის დიდებულ სხივებს!..

იშრომეთ დანო, იღვაწეთ ძმანო,
ნუ, ნუ დაზოგავთ მეცადინობას,
რომ გაუზარდოთ ამ გვარი მუშა
კვლავაც მრავალი შთამომავლობას!

მაშინ, ო მაშინ, ბევრი მსუნაგი
ფრთებს შეაკვეცავს თვისსა ოცნებას,
და დღეს თუ უნდა მოგვსპოს ამ ქვეყნად,
ხვალ დიდ პატივს სცემს ჩვენს პიროვნებას!..

კვლავ ვაშა, ვაშა, დიდება მგოსანს
ნეტარ ხსენება სამარადისოდ
იმას, ვინც ერთად დიდი-პატარა
ჩვენ აქ შეგვყარა დღეს სამეჯლისოდ"!

ამ ლექსს მოჰყვა „ჩუხჩუხით ჩამორბოდა", „ერთხელ ვიხილე" და „ჩარის" სიმღერა. შემდეგ ქ-მა ეფ. მესხის ასულმა წაიკითხა ბ-ნ ევდოშვილის ლექსი „სამშობლოსადმი", ამის შემდეგ იმღერეს „აღსდეგ გმირთ-გმირო", „მიყვარს ფაცხა მე მეგრული" და დასასრულ გაიმართა აპოთეოზი.

საზოგადოება ცოტა დაესწრო ამ დღესასწაულს. მიზეზად ასახელებენ ცუდ ამინდსა და აფიშების გვიან გამოკვრას (აფიშები გვიან მიეღოთ ტფილისიდგან და წარმოდგენის დღეს გამოეკრათ).

ღმერთმა ჰქნას, რომ ეს ასე ყოფილიყოს, თორემ არ ეპატიება ბაქოს ქართველობას ასე გულ-გრილად მიგებება ამ დიდებულ დღესასწაულისა.

საჩხერელი.

ქუთაისი. კვირას, 9 იანვარს, მეორედ ითამაშეს ბ-ნ მესხიშვილის მონაწილეობით ხუთ-მოქმედებიანი მონტის დრამა „კაი გრაკხ", ივ. მაჭავარიანის თარგმანი; ვის არ გაუგონია მსოფლიო ისტორიაში განთქმული გრაკხები, მათი სამშობლოსადმი სიყვარული და თავდადება? აქ არის გამოხატული მხოლოდ ერთი გრაკხი — კაი. იგი იბრძვის, იღწვის ხალხის საკეთილდღეოდ; სურს ბოლო მოუღოს გარყვნილებას, დუხჭირ ცხოვრებას. უნდა ხალხს დაანახვოს «პატრიციების» (მაღალი საზოგადოება) სიბილწე და მდაბიო ხალხს უფლებანი მიანიჭოს. კაი გრაკხი იბრძვის, რათა გაავრცელოს ხალხში სიყვარული, ერთობა და ძმობა, მაგრამ ხალხი არ არის მომზადებული იმისთვის, რომ ეს დიდებული, ჰუმანიური ქადაგება მოისმინოს. ამიტომ ის ვარდება მტრების ხელში და თვის დედისაგან გამოწვდილ ხმლით იკლავს თავს.

ეს არის მოკლე შინაარსი პიესისა. ჩვეულებრივის სამშვენიერით ჩაატარა გმირ კაი გრაკხის როლი ბ-ნმა მესხიშვილმა; კარგი იყო აგრეთვე ბ-ნი ზარდალიშვილი ლიუცი ოპიმის როლში და ბ-ნი გამყრელიძე — მარკ ფულვის როლის ამსრულებელი. ქალთა-შესახებ კი მეტს ვერას ვიტყვით, გარდა იმისა, რომ ქ-ნი ივანიძე უფრო ასრულებს თავ-განწირულ, მებრძოლ დედის როლს, ვიდრე ქ-ნი გამყრელიძისა, და ქ-ნ რონელს უფრო შეშვენის ლიცინის როლი, ვიდრე მდივნის ასულს. პირველი ვერ იყო ნამდვილი რომაელი ქალი; მისი ტირილი, მისი სულის კვეთება ნაძალადევი იყო.

რაც შეეხება სხვებს, თავის ადგილას არავინ არ იყო: დიდებული, დარბაისელი პატრიციები საწყალ მთხოვრებსა ჰგავდა და როცა მათ კაი კათედრიდან ლანძღავდა და ძირს უთხრიდა, ისინი ქანდაკებასავით იყვნენ გაშეშებულნი. უსამართლობა იქნება არ ვსთქვა, რომ ხუთ მოქმედების განმავლობაში გაუნძრევლად ქანდაკებასავით იყო სცენაზე დამდგარი გ. ჩარკვიანი, გრაკხების მამა.

სცენაზე ხშირად გვესმოდა ამნაირი ქართული; „უნობდნენ" (ამბობდნენ), „სამშობლო გვყავს" (სამშობლო გვაქვს) და სხვ., რაც მთარგმნელის ბრალი არ უნდა იყოს... თუმცა ეს პიესა მეორედ წარმოადგინეს ჩვენს სცენაზე, მაინც ხალხი იმდენი დაესწრო, რომ ტევა არ იყო და უბილეთობის გამო ბევრი გულ-დაწყვეტილი სახლში დაბრუნდა. კარგი იქნება, რომ მესამედაც წარმოადგენდნენ ამ პიესას, რადგან ხალხს ძლიერ მოსწონს...

ს. პელაგიაშვილი.

წერილი რედაქციის მიმართ.

ვისაც ჩემს «სადღესოში» უზუნდარას ცეკვის გაკიცხვით პირადობა შევულახე და შეურაცხყოფა მივაყენე, იმ ქალის წინაშე ღრმ ბოდიშს ვიხდი.

კლდია.

„ივერიის" ფოსტა

ა. ტქ.—შვილს. თქვენი კორესპონდენცია სოფ. ადძიუბჟადან (აფხაზეთშია) დასაწუნი არ არის, მაგრამ ისევ ისა სჯობდა, რომ წარმოდგენაში მონაწილეობის მიმღებთა სია ან გრაჟდანინ"-ისა და ანაც „მოსკოვ. ვედ."-ის რედაქციისათვის გაგეგზავნათ და ამით დაგემტკიცებინათ რომ თქვენს მხარეში „все обстоятъ благополучно".

ვლ. ბზვანელს. თქვენი უკანასკნელი კორესპონდენცია არ დაიბეჭდება.

კახეთში (ბუტკ., II, 122). რუსეთს არა თუ არ შეეძლო უყურადღებოდ დაეტოვებინა საქართველო, არამედ მისი მოხელე პოტემკინი უკვე დიდებულ გეგმებს ადგენდა პრინციპიულად, თუმცა საიდუმლოდ უკვე გადასწყვიტა ბედი საქართველოისა 1784 წელზედაც წინად (ბუტკოვი, II, 151).

ბუტკოვის აქ ნათქვამს ამოწმებს დავით ბატონიშვილის ახლად ნაპოვნი ხელნაწერიც. 1783 წლის თარიღის ქვეშ ამ პოტემკინის შესახებ დავითი სწერს: „მოვიდა ტფილისს კავკასიის ლინიის უპირველესი მართებელი ღიარანალ-პორუჩიკი პავლე სერგიჩი პოტემკინი. ამან აწვია მეფესა ირაკლის, რათა მისცეს მათ სრული ნება და მართონ რუსთა საქართველო რუსთა-მებრ წესითა, და ჰქონდეს მეფესა კახეთი თავისუფლად და ჯამაგირი ოდენი, რაოდენიცა შემოსდიოდა ქართლით. მსმენელმან ამისმან მეფემან ირაკლიმ არა ინება თანხმობა ამისი, და უპასუხოდ განუტევა იგი რუსეთადვე" („მასალები", გვ. 30).

ავალიშვილი კი არწმუნებს ქვეყანას: „Отъ всего существеннаго они (цари Грузіи) отреклись, но желали еще для себя привилегій; они готовы (?!) были стать, вмѣсто царей, наслѣдственными правителями Грузіи" (გვ. 190). რამდენი უსამართლო მსჯელობაა აქ, რამდენი ცილისწამებაა?!! ვიმეორებთ, რუსეთს ძველთაგანვე სურდა მტკიცედ ფეხი მოეკიდნა კასპიისა და შავს ზღვებზედ, და აქ გამაგრება კი არ შეეძლო, ვიდრე არ ჩამოდგებოდა საქართველოში. ესევე აზრი გაატარა მუსინ-პუშკინმა თავის მოხსენებაში 1800 წელს. საქართველოს შემოერთება „უზრუნველჰყოფსო თვით რუსეთის მიჯნებს" და „მით შეიძლებსო მთიელთა ალაგმვას", ნათქვამია სახელმწიფო საბჭოს მოხსენებაში იმპერატორის შეკითხვაზე: „სამართლიანია საქართველოს შემოერთება?" (Сборникъ матеріаловъ для описанія Тифлисской губер. 1870 г., გვ. 4). გარდა ამისა, საქართველოს შეერთებას უნდა მოჰყოლოდა დასუსტება ოსმალეთისა და სპარსეთისა და კასპიის ზღვაც უნდა გამხდარიყო რუსეთის ზღვად.

ასეც მოხდა.

ჩვენი ავტორი კი სცდილობს (გვ. IV) დაარწმუნოს მკითხველი, რომ, ვითომ, „რუსეთს არავითარი ეკონომიური ინტერესი არა ჰქონდა საქართველოში, რომ საქართველოს არ შეეძლო მოეზიდნა რუსეთი მიჯნების შესწორების მიზნითაც".

ბ-ნი ავალიშვილი თავის თავს ეწინააღმდეგება, როდესაც მსჯელობს შესახებ საქართველოსა, პოლონეთისა და ფინლიანდიის რუსეთთან შეერთებისა.

„ქართველებს, სწერს იგი (გვ. V, 198), სურდათ შეერთებულიყვნენ პირობით, ხელშეკრულობის სახით. ყველა ეს ძველადგანვე უცხო იყო რუსეთისათვის, რომელმაც სამის საუკუნის წინად ნოვგოროდს ნება არ მისცა ჰქონოდა „ვეჩე" და „კოლოკოლი" — სახელმწიფოს ერთობისა და მის ნაწილების ერთნაირ მორჩილების გულისათვის".

სხვა ადგილას კი (გვ. 273) იგი სწერს: „ალექსანდრე I კეთილ მიდრეკილებით ეპყრობოდა არა-რუსებს, რომელნიც მის დროს რუსეთის ქვეშევრდომებად შეიქმნენ... რვა წლის შემდეგ ფინლიანდიელებს სავსებით გამოეცხადათ ნიშანი იმპერატორის მოწყალებისა. ყველამ იცის, რა გამოვიდა აქედგან ფინლიანდიისთვის. შემდეგ კიდევ, ვენის კონგრესის მერე, ალექსანდრემ კონსტიტუცია მიანიჭა რუსეთის პოლონეთს".

რამდენსამე სტრიქონში ამდენი წინააღმდეგობაა!

1723 წლის ბოლოსო, — ამბობს ავალიშვილი (გვ. 72), ვახტანგ მეფე მივიდა წმ. ჯვრის ციხეში. მასთან ერთად გაემგზავრა რუსეთს 1000 სულზე მეტი ქართველი, ანგარიში და გეგმა ქართველებისა სრულიადაც მას (პეტრე დიდს) არ აინტერესებდა; ვახტანგი მას მიაჩნდა მხოლოდ არარად თავის პოლიტიკისა და ქართველები კი ელემენტად, რომელიც შეეძლო დაესახლებინა თავისს კასპიის მხრის შენაძენში... ერთის სიტყვით, რუსეთში სურდათ ესარგებლნათ ამალისაგანაც და მეფისაგანაც".

ჯერ ერთი, ვახტანგი გაემგზავრა რუსეთს არა 1723 წელს, არამედ საქართველოდგან გავიდა იგი მხოლოდ 15 ივლისს 1724 წელს; და მივიდა-რა ჩერქეზეთს 15 აგვისტოს, იქიდგან წავიდა რუსეთისკენ და მივიდა პეტერბურგს შემდეგ პეტრე I-ის სიკვდილისა, 25 აპრილს 1725 წელს (ქართ. ცხ., 333; ბუტკ., III. 28—30).

და მეორეც, უბედურებანი, რომელიც ეწვია ვახტანგს, თვითონვე მოახვია თავის თავს. შორს გამჭვრეტნი ურჩევდნენ, ნუ ეზავები მესამე სახელმწიფოს, როდესაც ორ სახელმწიფოსთან ხელშეკრულობა გაქვსო, მაგრამ მან არ უსმინა. ვახტანგი იყო კაცი სწავლული, პოლიტიკოსი კი მეტად ცუდი. იგი არა ჰგვანდა უწინდელს მეფეებს, რომელნიც მამულისთვის თავსა სდებდენ, ქვეყანას მტლედ ედებოდნენ. მან არ დაიყოვნა, პოლიტიკურ საქმეების დახლართვის შემდეგ, დაეტოვა სამშობლო და თან წაეყვანა ყველა მოწინავე, უფლებითა და სწავლით აღჭურვილი კაცები, რიცხვით 1300-მდე, და მით ქვეყანა დაეკმაყოფილებინა. ეს ცოტაა კიდევ. გადასახლდა-რა რუსეთს, მას არ შერცხვა მაზე და ქსელი დაეგო მათთვის, — ვიგულისხმებ თეიმურაზ II-ეს, ერეკლე მე-II-ს და თამარ დედოფალს, — რომელთაც თავისის სისხლით, და ჰკუით შესძლეს უმწყემსოდ დატოვებულ ქართველების შეკრება, აღფრთოვანება, შექმნა დიდის ძალ-ღონისა, დასჯა ქართლის მეამბოხე თავადებისა, რომელთაც აშფოთებდნენ თვით იგივე ვახტანგი და მისი მემკვიდრეები, დაშინება მთიელებისა, დაპყრობა განჯისა და ერევანისა, დამარცხება თურქთა და სპარსთა ურდოებისა ბეჭდვა წიგნებისა, გამრავლება სკოლებისა და საქონლისა იმდენად, რომ ყოველს მეკომურს გააჩნდა, მაგალ. პანკისში, არა ნაკლებ 200—400—1000—2000 ღორისა.

ავალიშვილის წიგნი სრულიად არა ჰგავს განსვენებულ მ. ხელთუფლიშვილის წიგნს „Вступленіе Грузіи въ составъ Россійской имперіи"; რომელშიაც იგი მოკლედ და მარჯვით წარმოადგენს როგორც საქართველოს წარსულს, ისე მისს შეერთებას რუსეთთან.

ამ გვარ საკითხთა ახსნისათვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა განუდრეკელი მიუდგომლობა.

გ—მ.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

დილის დეპეშები.

12 იანვარი.

ვენა. ჩეხებმა გადასწყვიტეს, ობსტრუქციას თავი დაანებოთო. გაუჩის სიტყვამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. გაუჩმა სთქვა, საჭიროა ეროვნული მშვიდობიანობა დამყარდეს, მრეწველობის საქმე სხვანაირად მოეწყოს და მუშათა დაზღვევის საქმის რეფორმაც მოხდესო.

ვლადივოსტოკი. სახელმწიფო ბანკის ვლადივოსტოკის განყოფილება აცხადებს, რომ ფულის მიღება ამ ბანკიდგან მხოლოდ 15 იანვრამდე შეიძლება, შემდეგ კი შესანახად მოცემული ფული ხაბაროვსკში გაიგზავნება და ფულის მიღება იქიდგან შეიძლებაო.

ესსენი. რურის რაიონში მხოლოდ 3535 სამთო მუშა მუშაობს. 230,000 მუშა სამუშაოდ არ გამოსულა.

კოვნა. დილით ძმათა ტილმანსების ქარხანაში მუშები გაიფიცნენ. სალამოს გაიფიცნენ ყველა ქარხნისა, სამრეწველო დაწესებულებისა, სახელოსნოებისა და ტრამვაის მუშები. ელექტრონის სადგური აღარ მუშაობს. მაღაზიები დაკეტილია. წინდაწინვე სხვა და სხვა ღონისძიებანი იქმნა მიღებული და ამიტომ არავითარი არეულობა და წეს-რიგის დარღვევაც არ ყოფილა. მეორე დილით გამოაქვეყნეს გუბერნატორის განცხადება, რომელშიაც ნათქვამია: სხვა და სხვა ბოროტ-განმზრახველთა ლაპარაკს მუშებმა ყური არ უნდა უგდონ და სამუშაოს დაუბრუნდნენო. გუბერნატორი მუშებს ჰპირდება, თქვენის მოთხოვნილებების გასინჯვასა და დაკმაყოფილებას ხელს შევუწყობო და ამასთან აფრთხილებს, ქუჩებში უწესოება-არეულობას სასტიკის ღონისძიებით მოსპობ და, თუ საქმე გაჭირდა, იარაღსაც ვიხმართო.

მოსკოვი. ქალაქის თავად ისევ თავადი გოლიცინი აირჩიეს.

პეტერბურგი. გენ. სახაროვის დეპეშა: „9 იანვარს ღამე ჩვენმა თავ გამოდებულებმა შანლანძის სამხრეთით ადგილი დაზვერეს და იაპონელთა მოდარაჯეთ უკან დაახევინეს. დაზვერის დროს მოგვიკლეს პრაპორშჩიკი გალუპენი, ზაურიად-პრაპორშჩიკი ტიხონოვი და რამდენიმე ჯარის კაცი. 10 იანვარს შუაღამისას ჩვენმა რაზმმა იაპონელები ლიუნეტიდან განდევნა სახეპუს დასავლეთ-სამხრეთით. ჩვენ დაგვიჭრეს ერთი ჯარის კაცი. ღამე იაპონელებმა ლიუნეტის დაბრუნება ორჯელ სცადეს, მაგრამ ჩვენ არ დავანებეთ“.

პარიჟი. „პტი ჟურნალში“ გამოცხადებულია ტოკიოდან მიღებული კერძო დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია, იაპონიის მთავრობა ეს არის ეხლა შეეკითხა მარშალ ოიამას, შესაძლებელია თუ არა, რომ კუროპატკინის ლაშქრის წინაღმდეგ სატევ მოქმედებას შეუდგეო.

შანხაი. როგორც ტოკიოდგან მოსული დეპეშა იუწყება, გუშინ იაპონელებმა დასწიეს უკან ჩრდილოეთ-დასავლეთით ვეიცუკიდან. ხიენჩენის ახლო, რუსის ცხენოსანი ესკადრონი. იაპონელებმა აიღეს ვეიცუკი, დავლად დარჩათ იარაღი და ცხენები. მეორე რაზმმა იერიში მიიტანა და განფანტა რუსები ჩაჩიანთან იალუს შეყოლებაზე. რუსებს იაპონელებზე ოცით მეტი დაუზარალდათ; იაპონელებმა შეიპყრეს ხუთი რუსის აფიცერი და ჯარის-კაცები იარაღითა და ცხენებით.—პორტ-არტურის საავადმყოფოებში 15 ათასი დაჭრილია. ციხის აღების შემდეგ 500 კაცი მოკვდა. რუსის დოსტაქრები დაიქანცნენ და სწუხან სამშობლოს მოშორებან.

ტოკიო. ვლადივოსტოკიდან მორჯს მოსულმა გემმა მოიტანა ამბავი, კრეისერი „როსსია“ შეაკეთეს, ხოლო „გრომობოი“ დოკში შეიყვანესო. ნაღმოსანთა რაზმი 20 გემისაგან შესდგება.

პეკინი. ჩინეთმა შეერთებულ შტატებს ნოტაზე პასუხის მიცემის დროს ნეიტრალობის შესახებ უჩვენა „რეშიტელნისთან“ მომხდარ ინციდენტზე. მაშინ ჩინეთმა დასაჯა ადმირალი სა, ამ ჟამად ჩინეთის მთავრობას ლაპარაკი აქვს ნაღმოსნის დაბრუნების შესახებ. ჩინეთი ამტკიცებს, რუსების ბრალდება საფუძველს არის მოკლებულიო.

შანხაი. პორტ-არტურის მიდამოებში იღებენ რუსების ნაღმებსა და ასუფთავებენ იქაურობას. იმედი აქვთ, რომ ნავთსადგური ჩქარა დაიწყებს მოქმედებას. დღეს ჩიფუს მოვიდა 13 ნავი და სამი ტრანსპორტი, მოიყვანეს თან ისინი, ვისაც ბრძოლებში მონაწილეობა არ მიუღიათ. კაპიტანი კარავაევი, რომელმაც იაპონელებს პატიოსანი სიტყვა არ მისცა, გაიქცა ერთ-ერთის ნავით, სხვა ტანისამოს გადაცმული.

იოკაჰამა. ვიღაც კოლინსს, ნახევრად პორტუგალელს, ნახევრად ჩინელს, მაგრამ ინგლისის ქვეშევრდომს, დღეს 11 წლით საპყრობილეში ჯდომა მიუსაჯეს იმისთვის, რომ სამხედრო საიდუმლოებანი გადაუცია რუსეთისათვის. იაპონიის აგენტმა, რომელმაც თავი გამცემლად აღიარა, კოლინსის რწმენა დაიმსახურა. ამ უკანასკნელმა ირწმუნა თავის გასამართლებლად, რომ რუსები მოვატყუეო, მაგრამ უპოვეს შიფრიანი დეპეშები, რომლის თარგმანმაც სრულიად გაამტყუნა ისა.

ლონდონი. ინგლისის გემი „ტელუსი“ გაუსხლტა იაპონელების ნაღმოსნებს და ვლადივოსტოკს მიიტანა დიდძალი ბრინჯი.

13 იანვარი

პეტერბურგი. ოფიციალური. „მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის ბრძანებით, ფინანსთა მინისტრმა და პეტერბურგის გენერალ-გუბერნატორმა გამოაცხადეს: წყნარი მიმდინარეობა ცხოვრებისა პეტერბურგში დაირღვა ამ უკანასკნელ დღეებში მუშათა გაფიცვამ ფაბრიკებსა და ქარხნებში. დაანებეს თავი მუშაობას თვისდა და თვის პატრონების საზარალოდ და მოითხოვეს ბევრი რამ. ამ მოძრაობით ისარგებლეს არა კეთილსაიმედო კაცებმა, რომელთაც მუშათა მოძრაობა გამოიყენეს იარაღად თავის განზრახვათა ასასრულებლად და გაიტაცეს ისინი. ამას შედეგად მოჰყვა დარღვევა ბევრჯელ წესიერებისა და იარაღის ხმარება. სამწუხაროა ამ გვარი მოვლენანი. განაგრძობენ აღელვებას ბოროტნი კაცნი, რომელნიც ვერ შეაყენა სამშობლოს გაჭირვებულმა ყოფამ. ამათ ხელში მშრომელი ხალხი იარაღად გახდა. ვერ გაითვალისწინეს, რომ მუშათა სახელით მოითხოვეს ისეთი რამ, რასაც არა აქვს არავითარი კავშირი იმათ საჭიროებასთან. ამითი მუშებმა დაივიწყეს, რომ მთავრობა მუდამ ზრუნვით ეპყრობოდა იმათ საჭიროებას, როგორც ეხლა ეპყრობა, და დააკმაყოფილებს შეძლებისა დაგვარად, მაგრამ მთავრობას ამისთანა მოქმედებისათვის უწინარეს ყოვლისა, საჭიროა წესიერების აღდგენა და ის, რომ მუშები ჩვეულებრივ მუშაობას დაუბრუნდნენ. აღელვების დროს შესაძლებელი არ არის წყნარი კეთილსანდომი მუშაობა მთავრობისა მუშათა სასარგებლოდ იმათ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, რაგინდ სამართლიანი იყოს ისა, არ შეიძლება გახდეს შედეგად უწესობისა და ჯიუტობისა. მუშებმა უნდა შეუმსუბუქონ მთავრობას მისი მოვალეობა მუშათა მდგომარეობის განკარგებისა. ეს შემსუბუქება-კი შეიძლება მხოლოდ მით, რომ უნდა განშორდნენ, უნდა ჩამოშორდნენ იმათ, ვისაც სწყურიათ მარტო ოდენ მღელვარება, ვისაც არაფრად მიაჩნია ჭეშმარიტი სარგებლობა მუშა ხალხისა, ჭეშმარიტი ინტერესები სამშობლოსი და ვინც მუშებს წინ აყენებს მხოლოდ იმიტომ, რომ საბაბი ჰქონდეთ მღელვარების გამოწვევისათვის, რასაც რასაკვირველია, საერთო არა აქვს-რა მუშათა სარგებლობასთან. მუშები უნდა დაუბრუნდნენ თავიანთ სამუშაოს, რომელიც იმდენადვე საჭიროა სახელმწიფოსათვის, რამდენადაც თვით მუშებისათვის. უამისოდ მუშებიცა და მათნი ცოლშვილნიც სიღარიბესა და სიღარტაკეში ჩავარდებიან. სამუშაოდ დაბრუნებაულმა მუშამ უნდა იცოდეს, რომ მისნი საჭიროებანი იმდენადვე დიდად საზრუნველია და საფიქრებელია ხელმწიფე იმპერატორისათვის, როგორც საჭიროებანი ყველა სხვა მისთა ერთგულთა ქვეშევრდომთა, რომ მისმა უდიდებულესობამ ამ რამდენისამე ხნის წინად თვისის საკუთარის ნება-ყოფლობით ინება და ბრძანა—შეიმუშავეთ საქმე მუშათა დაზღვევისა, თუ ვინიცობაა მუშა დამახინჯდა, ან ავად გახდაო, რომ ამ ღონისძიებით არა თავდება მზრუნველობა ხელმწიფე იმპერატორისა მუშათა კეთილდღეობისათვის და რომ ამათთან ერთად, მისის უდიდებულესობის ნება-რთვით, ფინანსთა სამინისტრო მზადაა შეუდგეს იმ კანონის შემუშავებას, რომელიც შეეხება სამუშაო დღის შემცირებას და ისეთ ღონისძიებათა გამონახვას, რომელთა შემწეობითაც მუშა ხალხს შეეძლოს კანონიერის გზით იმსჯელობოს თავის საჭიროებაზედ და განაცხადოს, რაც უჭირს. დაე, იცოდნენ ფაბრიკებისა და ქარხნების მუშებმაცა, რომ თუ მუშაობას დაუბრუნდებიან, იმედი ჰქონდეთ, მთავრობა დაიფარავს და დაიცავს იმათაც და მათ ოჯახთაც ხელ-უხლებლივ. მთავრობა დაიცავს მუშაობის მსურველთ იმათგან, ვინც, ბოროტებით აღვსილი, სცდილობს დაარღვიოს მისის სულის მშვიდობა და გული აუცრუოს მუშაობაზედ. ის ბოროტნი ჰყვირიან—თავისუფლებაო, მაგრამ თავისუფლება ასე ესმით, ძალით არ გამოვუშვებთ იმათ, ვისაც შრომა უნდაო. ფინანსთა მინისტრი სტატს-სეკრეტარი ვ. კოკოვცევი, პეტერბურგის გენ.-გუბერნატორი დ. ტრეპოვი“.

ღამის დეპეშები.

13 იანვარი.

ბაქო, 12 იან. ბიბი ეიბათში ნავთის მილები აღარ მუშაობას. მეორე დღეა ფოსტა არ მოსულა. ქალაქში ტრამვაი აღარ დადის. საქარხნო და სამრეწველო რაიონში მიმოსვლა შეწყვეტილია. ბალახანის ქარხნების უმეტესი ნაწილი უწყლოდ არის და აღარ მუშაობს. ვაჭრობა შედგა. ბირჟა არ მოქმედობს.

ბერლინი, 12 იანვ. ავსტრია-გერმანიის სავაჭრო ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს

ლონდონი, 12 იანვარი. ბენკენდორფმა საელჩოს შეატყობინა, რომ იგი ლონდონში 26 იანვარს დაბრუნდება.

პეტერბურგი. „პეტერბურგის გრადონაჩალნიკის უწყებებში“ დაბეჭდილია; „12 იანვარს ქალაქში წეს-რიგი არ დარღვეულა. ზოგიერთა ფაბრიკებსა და ქარხნებში მუშაობა დაიწყო“.

პარიჟი, 11 იანვარი. მოწამემ ვუდმა ბევრი ილაპარაკა რუსეთის სხვა და სხვა გემებზე, რომელიც მას უნახავს. იგი ამბობს, თვითეულ გემის ანძებისა და საბოლეების რიცხვი მახსოვს და ეს გემები აქეთა და აქეთ წავიდნენო. გარდა ამისა, მოწამემ სთქვა, რომ თითო ესკადრის შუბლის გემზედ ადმირალის ბაირაღი იყო ამართულიო. მეორე მოწამემ სთქვა, რომ მეთევზეებს არც ერთი იაპონური სამხედრო გემი არ უნახავთო.

სოფია, 12 იანვარი (საკუთარის კორესპონდენტისაგან). ბულგარიის მთელი პრესა სწუხს იმ სამწუხარო ამბებისა გამო, რომელიც პეტერბურგში მუშათა გაფიცვასა და მღელვარებას მოჰყვა. გაზეთებს სურთ, რომ უწესოებანი მოისპოს, რადგან შორეულ აღმოსავლეთის ომის გამო ეს უწესოება უდროო დროდ არის დაწყებულიო.

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე**.
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი**.

პეტერბურგის ბირჟა

11 იანვარს 1905 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,10
ბერლინში 100 მარკაში	45,02½
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,80
ბერლინში „	46,30
პარიჟში	37,72½
ბირჟის დისკონტი	6—7½%
4% სახელმწიფო რენტა	88⅛ ნ. გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგილ-მამულო ბანკისა	86 ნ. გაყ,
5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ.	419 ნაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ ბილ. 1866 წ.	396 წ. გაყ
5% გირავნ ფურც. სახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა	263 ნ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ	82¼ მყიდ.
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	82½ მყიდ.
4½% ტფილ საადგ. მამ. ბანკის. გირავნ. ფურცლ.	—
5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საად.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გარავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

ამ წლის 15 ოკდომბრიდან.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა).

ა) ტფილისიდგან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა, და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 22 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ. (5 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერივანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ; (3 ს, 38 წ:).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: სწრაფი № 19 (მხოლო პარასკევს) ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); საფოსტო № 3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); საქ. და სამგზ. № 17 საღამოს 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 10 წ. (7 ს. 59 წ.).

ერევან-ყარსიდან: საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ); საქონლის სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წუთ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 (6 ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ღამის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.)

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 05 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

განცხადებანი

პირველი
კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ყ. მ. ჩიქოვანი—9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. ამბტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი—12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

გ. ა. თარხანოვი—1—1½ საათ, შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

გ. სოლოღაშვილი—9—11 საათამდე. კბილების ავადმყოფობანი.

ექიმი ქალი **ა. ე. შჩერბინინა**—1½—2 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

საღამოობით:

გ. ა. თარხანოვი—7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

პ. ა. არდაზიანი—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულს გამოკვლევას 5—7 საათ.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების
ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ
კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის —
გებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი
ლიშვილი.

Первая частная лѣчебница д-ра
сардіана. Тифлисъ, противъ памятн.
пову.

საავადმყოფოები.

ქალაქის სახაზინო საავადმყოფო—
ილის ქუჩა, სახაზინო სახლი. ფასი ს
ოთახში—12 მან., ცალკე ოთახში—60 მან.

ქალაქის სამკურნალო—მუხრანის
სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა უფასოა.
თათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სა
ნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილ
ავლაბრისა—კახეთის ქუჩა, სახლი
როვისა. გამგე ექიმი ი. იგიტიანცი.

კუკიისა—ალექსანდროვის ქუჩა, სახლ
ქუმოვისა. ექიმი კ. გძელიშვილი.

ხარფუხისა—ვორონცოვის ქუჩა, სახლ
გაროვისა. ექიმი თათევოსიანცი.

თვალების სამკურნალო—კრილოვის
ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე, სახლი
მანისა, № 15 (ლიბერმანის სტამბის ზემ
თულში). ავადმყოფთ უფასოდ აძლევენ
სამკურნალოს გამგე-დირექტორის თანამდ
აღმასრულებელ. ექიმი-ქალი პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით
მყოფთათვის—უფასო, იმყოფება კოჯრ
ჩაზე. ბარონ ტიზენგაუზენისა და ეჯ
სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვი
ავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პ
ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15
—ფასიანი, თვეში 12 მან. გამგე ექიმი
მანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის
სო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიან

ქალაქის უფასო ღამის თავშესა
სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი,
მელიქიანცისა.

2) დიდუბეში,—სახლი გოლდლიუსტისა.

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგ
გბისა ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვას
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ „ საღამ. 5—7 „
   კვირა-უქმე—დილ. 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, №
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ „ საღმ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ „ საღამ. 5—8

ახალი საყმაწვილო ჟურნალი
„ნაკადული“
სურათებით
გამოიცემა მცირე-წლოვან და მოზრდილ ყრმათათვის

თვეში სამი წიგნი: ორი მცირე წლოვანთათვის და ერთი—მოზრდილთათვის,
გოგიურ ფურცლის დამატებით.

წლიწადი იანგარიშება 1 ნოემბრიდან 1 ნოემბრამდე.

ჟურნალის ფასი: ერთად ორივე გამოცემა ღირს წელიწადში 5 მან., ცა
ცალკე 3 მან., ნახევრის წლით ორივე გამოცემა 2 მან. 50 კაპ.; ხელის მ
წერს შეუძლიან თვეში თითო მანეთიც შემოიტანოს. ფასი თითო ნომრისა: მო
დილთა ჟურნალი—25 კ., მცირე-წლოვან ყრმათა—15 კ.

რედაქცია იმყოფება ალექსანდროვის ქუჩ., № 5. სახლი პოპოვისა, სადგომი მარიამ ი
ასულის დემურიასი.

ხელის მოწერა მიიღება: რედაქციაში, „წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“
ცელარიაში და ჟურნალის აგენტებთან.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція журнала „НАКАДУ

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი
„ჯეჯილი“
წლიწადი მეთექვსმეტე

გამოვა 1905 წელსაც თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილებაა: პ
რებისთვის და მოზრდილთათვის.

„ჯეჯილში“ მონაწილეობას მიიღებენ ყველა ჩვენი საუკეთესო მწერლები.

რედაქციასთან დაასებული კომისია ყოველ ღონისძიებას ხმარობს ჟურნა
გასაუმჯობესებლათ.

რედაქცია ეცდება ხშირათ ჩაურთოს «ჯეჯილის» ნომრებში ნახატები ფერა
წამლებით და აგრეთვე შეძლებისამებრ მისცეს პრემიათ სხვა და სხვა სასიამო
და სასარგებლო წიგნაკები.

ჟურნალი «ჯეჯილი» მიღებულია ტფილისის საეპარქიო და კავკასიის ოლ
სამოსწავლო საბჭოებისაგან სასწავლებლების სამკითხველოებში საკითხავათ.

ჟურნალი «ჯეჯილი» ტფილისში დატარებით ღირს 4 მან., ტფილისს გარე
გაგზავნით 5 მან., ნახევარის წლით 2 მან 50 კ., ცალკე ნომერი 50 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება:

1) **ტფილისში**—«წერა-კითხვის გამ. საზოგადოების» კანცელარიაში (Дворцов
ул, д. Груз. Двор., № 101), და თვით «ჯეჯილი»-ს რედაქციაში (Артиллер.
№ 5, возлѣ Кадетскаго корпуса)

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журн
„Джеджили“.*

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმ.-წერეთლისა.

Дозволено цензурою Тифлисъ, 13 января, 1905 г.

Тип. „ТРУДЪ“, Фрейлинская № 5. Таварткиладзе.